

საქართველო

ეროვნული
გზა-მნიშვნელობის

საერთაშორისო გაერთიანება 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 7 დეკემბერი 1996 №130 (355) ფასი 40 თეთრი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ზარალის ანაზღაურებას პაიქულაბთ ამბობენ იტალიელები



იმ დროს, როდესაც „კაპას“ თავადაც ჩვენი ფეხბურთის ფედერაციასთან ურთიერთობის გარკვეულ ცდომილებას აღმოჩნდა, რომ ფედერაციას უკვე გაუფორმებია კონტრაქტი გერმანულ „ადიდასთან“. ეს ყოველივე „ადიდასის“ ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ზურაბ აბესაძისგან შევიტყვეთ. თუმცა, საუბრის წინ მან გამაფრთხილა, კონტრაქტის დეტალებზე საუბრის უფლებას მხოლოდ ნოდარ ახალკაცის თანდასწრებით მივეცემ ჩემ თავსო. ამიტომაც ჩვენი საუბარი უფრო ზოგადი ხასიათისა გამოდგა.

— „ადიდასმა“ უკვე გააფორმა კონტრაქტი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან და საქართველოს ნაკრები უკვე შეიძინა ჩვენი ფორმი.

— როდის დაიდო კონტრაქტი და რამდენწლიანია?

— ეს ამბავი წელს მოხდა. იმაზე კი, რამდენწლიანია კონტრაქტი, არ მინდა საუბარი.

— „კაპას“ და „ადიდასის“ საფორმო მალაზიში არის საქართველოს ნაკრების მისაღებად, შესაბამისად იტალიელებისა და გერმანელების საფორმო ნიშნით. „კაპას“ იურიდიულად თუ აქვს ამის უფლება?

— მართალი გითხრათ, მე „კაპას“ მალაზიაში არ მინახავს ასეთი მისაღები. თუმცა, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ნაკრების მისაღებად მისაღები გაყიდვის უფლება მხოლოდ „ადიდასს“ გააჩნია.

— თითქმის ყველა ქვეყანაში მიყვარებული ეროვნული გუნდის მხარდამხრად მის მისაღებად იმეგვს. თქვენს საფორმო მალაზიაში კი ნაკრების მისაღები არცაა ხელმისაწვდომი ფასში, 45 ლარად იყიდება. სხვა, დიდიხელსაშუალებით ამ ოდენობის თანხაზე ძვირი არც ითქმის, ჩვენში კი, მოგვსვენებთ, ცხოვრების დონე რის საშუალებასაც გვაძლევს...

— ეს ფორმები ინგლისშია შეკერილი, მართლაც კარგი ხარისხისა და თვითღირებულებიდან გამომდინარე ვადებთ ფასს, რომელიც 10 ლარი ნამდვილად ვერ იქნება. ისე ვერ დაგეთანხმებით, რომ ძვირი საქონელი გვაქვს. „რიბოკის“, „აიაკოს“ და სხვათა შეკერილი საფეხბურთო მისაღები უფრო ძვირია და ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი საქონელი მათზე დაბალი

„კაპას“ დანებდა? ამ საკითხის გასარკვევად წუხელ ტურინში, ფორმის ოფისში დავრევით და ლიცენზიებსა და საგარეო ურთიერთობებზე პასუხისმგებელს ჯანაოლო ლებრონის ვესაუბრეთ.

— ფაქტი იმისა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ „ადიდასთან“ კონტრაქტი გააფორმა, მე არ მაქვს ამის შესახებ მხოლოდ ჭორები მსმენია და ვიცი ის, რომ საქართველოს ნაკრები „ადიდასის“ ფორმით თამაშობს. ჩემი რეაქცია ფეხბურთის ფედერაციის საქციელზე მხოლოდ უარყოფითი შეიძლება

ხარისხისა. ჩემი აზრით, პირიქით, ჩვენი სჯობს.

— „კაპას“ ქართული წარმომადგენელი რომან რუჩაიშვილი, რომ მზად არის ჩვენი ნაყრებებისა და სპორტსმენების ნახევარს გაუწიოს სპონსორობა. ბუნებრივია, ეს ბაზრის დაპყრობის მცდელობაა. თქვენ თუ გაქვთ ასეთივე სურვილი?

— მე „ადიდასის“ წარმომადგენელი, ბუნებრივია, მობარუელი ვიქნებოდი, თუკი საქართველოს სპორტსმენები და ნაკრები გუნდები ჩვენი ფორმებით შეიშოსებიან. მაგრამ ჯერ ენახათ, რამდენად შესაძლებელია ეს. ახლა აქაური ბაზრის შესწავლა მიმდინარეობს და ჯერ მიჭირს თქმა, რას მოვიმოქმედებთ. თუმცა, შემძლია გითხრათ, რომ უკვე დაიწყო მოლაპარაკება საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებთან და „ვიტასთან“.

— „ადიდასს“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის შორის დადებული კონტრაქტი ჩვენი ნაკრების უცხოური ტურნირებისა და შეკრებების დაფინანსებასაც ხომ არ ითვალისწინებს?

— ასეთი რამ „ადიდასისთვის“ უცხო ამბავი არ გახლავთ. ალბათ ჩვენს ნაკრებსაც დაეხმარებიან. თუმცა გეტყვით ერთსაც, რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული თავად ნაკრების გამოცემაზე. გერმანელებმა უნდა დაინახონ, რომ გუნდს შედეგები აქვს და, ბუნებრივია, მეტი ინტერესით მოგვეკიდებიან. თუმცა, ჯერჯერობით „ადიდასი“ მხოლოდ ნაკრების შემოსვით შემოიფარგლა.

— უცხოეთში ამა თუ იმ ფორმის სპორტსმენები ინდივიდუალურად უფორმებენ კონტრაქტს და მის საჭიროებას რეკლამის უწყვეტ. ჩვენში ასეთი რამ ვერ არ დანერგულია. ხომ არ ავირებთ „ადიდასის“ რეკლამირებას ქართველი სპორტსმენების საშუალებით?

— ყველაფერი ნაკრების გამოსვლებზეა დამოკიდებული. ინგლისთან წავაგებთ ყველა გულდაწყვეტილი დაცემოვ, მათ შორის „ადიდასის“ წარმომადგენლებიც. სპორტსმენები კი თავად გერმანელებს უნდა მოეწონონ, რათა კონტრაქტი დაუდონ. ეს ამბავი მათი გადასაწყვეტია.

მერაბ მამულაშვილი

იყოს. „კაპას“ აქვს თავისი მოთხოვნები და მათ მისაღებად ოფიციალურ ზომებს მივიღებთ. ჩვენ დავიჭირებთ საერთაშორისო სამართლის ადვოკატს, რომელიც ახლა საქმეს სწავლობს. პერუ-ჯამში, იტალიისა და საქართველოს გუნდების თამაშისას დაგვემილი გვექონდა აქცია, მაგრამ ის დიპლომატიურ მიზეზთა გამო არ განვახორციელეთ. აქცია იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს ნაკრებისთვის „ადიდასის“ ფორმის ჩამორთმევას ვაპირებდით. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა უარი განაცხადა „კაპას“

სთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე. მისი უფლება კი აღრინდელი ხელშეკრულების თანახმად არ ჰქონდა. „კაპას“ ამ უარის გამო იზარალა და ამიტომ ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ვაძიებდით, იგი აგვიანზღუდოს. ჯერ, რამდენიმე კვირასაც დაიცდით.

— ისტორია არ დისრულებულა?

— არა. მაინც ვიტყვით იმდენს, რომ საქმეს მოველბა და „კაპას“ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის თანამშრომლობა აღდგება.

ილია ბაგრაშვილი

პარტანა დაიწყო, ჩაბანა გაათავა

გუმწინ ბერეთში საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რამდენიმე უფროსი ფეხბურთელითაც რომაა გაძლიერებული, პირველი მატჩი გამართა ლიბანის ეროვნულ გუნდთან. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის შემადგენლობა ვერ შევიტყვეთ, უცხოური სააგენტოების წყალობით მხოლოდ ის ვიცით, რომ 58-ე წუთზე ანგარიში იამეილმა გახსნა, 67-ზე კი კენამეშ მორე შეავლო, მაგრამ გაუნათლებელ ლიბანელებს, სამწუხაროდ, ვერ ვერ გაუგიათ პირველი გოლის (თან ორის!) ფაქტორი და ბოლო ოც წუთში ოთხი უპასუხო გოლის გატანა გაბედეს. მასპინძელთა გამარჯვებას სათავე ვართან ხაზარანმა დაუდო. მას ფუად ჰიჯაზიმ (73), ჯამალ ტაჰამ (78) და ჩაბან ჰამადემ (90) აუბეს მხარი.

უხველავათ გურულებს?

ტურის საფეხბურთო კლუბი აზერბაიჯანში საქართველოს ელჩმა და კასპიის ნავთობის კონსორციუმის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ვაჟა ჭანტურამ შეიყვანა. როგორ ააყვავა ნავთობმა არაბეთი და მისი ფეხბურთი, მაგალითების მოუყვანდა ნათელია. აი, გურულების შემთხვევაში რა მოხდება, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს...



ჩაბარა გაღიანი უმთავრესი კანდიდატი

იტალიის გავლენიანმა სპორტულმა გაზეთებმა ერთმანდ ამცნეს საზოგადოებას, რომ „სკუადრა ატურას“ მომავალი მწვერული იქნება ჩეზარე მალდინი. ცხადია ეს არაოფიციალური ცნობაა, რამეთუ სანამ არ აირჩევენ ფეხბურთის ფედერაციის ახალ პრეზიდენტს, მანამდე არიგო საკის შემცველს არ დანიშნავენ. პრეზიდენტის არჩევნები კი 14 დეკემბერს გაიმართება.

ხმამ მალდინის შესახებ ფედერაციის კომისიონერის რაფაელე პანოცის და სერია A და B ლიგების პრეზიდენტის ლუჩანო ნიკოლას შეხვედრიდან გამოჟონა. პანოცი დროებით, ახალი თავაკის არჩევამდე უძღვება იტალიური ფეხბურთის საქმეებს, ნიკოლა კი უთუოდ ახალი პრეზიდენტი გახდება. სწორედ

მათი საუბრისას გადაწყვეტილმა ნაკრების ახალი მწვერულის კანდიდატურა. თუ მართლა მალდინის დანიშნავენ, აღდგება საკმარისი ტრადიცია — ნაკრებს უხელმძღვანელებს არა კლუბიდან მოწვეული სპეციალისტი, არამედ ფედერაციის კაცი. შეგახსენებთ, რომ ჩეზარე მალდინი ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების მწვერულია.


არის ასეთი ჭოროც, რომ მალდინის დროებით დანიშნავენ და თუ ინგლისის, პოლონეთის (ორჯერ) და მოლოდინს ცუდად ეთამაშება, მაშინ (თბილისში ჩამოსვლის წინ) ჯოვანი ტრაპატონი ან ღირსი მოფით შეცვლიან.

ტრაპატონიმ ადრეც თქვა და ერთხელაც დაადასტურა, რომ „ბაიერნიდან“ წასვლას არ აპირებს, მოგვს კი მისი მეგობრის და ყოფილი თანაგუნდელის ფულვიო კოლოვატის სიტყვით, „სკუადრა ატურას“ თავაკობა გულში აქვს ამოჭრილი.

გაფრინდავშილი, შირაპი და სხვანი...

სასიხარულო ამბები ღმერთმა არ მოგვიღო და აშკარად ორი ამგვარი ამბის მატყნე გახლავთ. მექსიკის საკურორტო ქალაქ კანკუნში ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტმა მსოფლიო ასოციაციამ თავის X ასამბლეაზე გამოაცხადა, რომ ჩვენი ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ნონა გაფრინდაშვილის გადასცემს ასოციაციის უმაღლეს ჯილდოს ოლიმპიურ მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის. ჯილდოს გადაცემის ცერემონიალი უახლოეს მომავალში გაიმართება. რა თქმა უნდა, ამგვარი დაფასება რჩეულთა ხედვრია და ასოციაცია 2 წელიწადში ერთხელ ასახელებს გამორჩეულ ოლიმპიელებს. წელს ქალბატონ ნონას გარდა 15 ლაურეატი დაიბეგს გულზე ასოციაციის უმაღლეს ჯილდოს, მათ შორის საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ-შირაპი, ისლანდიის პრემიერ მინისტრი ვენესუელისა და მექსიკის პრეზიდენტი. ვერაფერს იტყვი, შესაშური კომპანიაა.

თითქოს ეოკთა მსოფლიო ასოციაციის გადაწყვეტილებას ელოდო, სოკის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარინამ იგივე მოიმიქმედა და ნონა გაფრინდაშვილი სოკის უმაღლესი „ოლიმპიური ორდენის“ ლაურეატად დაასახელა ამ ორ-



დენით ღვებულ საქართველოში ორი ადამიანი იყო დაჯილდოებული — მძლეოსანი ვიქტორ სანევი და წყალში მხტომელი სერგო შალიაშვილი (სიკვდილის შემდეგ). თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ ამ ერთი თვის წინ ეოკთა ევროპის ასოციაციამ თავისი უმაღლესი ჯილდო უბოძა ქალბატონ ნონას, კაცი იფიქრებს, საერთაშორისო ოლიმპიური ორგანიზაციები ერთმანეთს ეჯიბრებიან სოკის პრეზიდენტის ღვაწლის დაფასებაში.

ეულოცავთ ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილს საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობის მამამთავართან საქვეყნო აღიარებასა და დაფასებას.

ყიფიანი მინდორის უბრუნდება

დახა, უბრუნდება და ამას მალე ვიხილავთ. ცხელი, გაცივებული და დაინტერესებული, ამიტომ ექსპრესი, გაუწყლო — „თეატრი TV-ს“ თასზე მინდორზე ნამდვილად დაეით ყიფიანს ვიხილავთ. ყიფიანის გუნდში ნუკრი კაცილაშვილიც ითამაშებს, მერაბ რატიანიც, რომან მონთაძეს, გიორგი ჯანაშვილიც, ნუგზარ ლომიძეს, გუბაზ დოლიძეს და ბევრი სხვაც. მოკლედ, ვისაც მოეწონება ყიფიანის მინდორზე ხილვა, შეუძლია, სურვილი აისრულოს. მანამდე კი დინამოელთა თავკაცს ათასი საფეხრალი აქვს, ბირთვად ის, როგორ დაიწყოს მერე წრე, რაკილა წამყვან ფეხბურთელთა ჯგუფს არაფრით არ სურს „დინამოში“ ღარჩენა და ჩვენს ჩემპიონატში თამაში. ამაში ბიჭები, უნდა ვიღიარო, მართლედ არიან. განა ჯანაშვილის, გოგიჩაიშვილის, ლომიძის და კიდევ ერთი-ორი კაცის ჩვენს ჩემპიონატში ღარჩენა მათ ოსტატობას წაადგება? ვთქვათ და რჩენე, ხომ ფაქტია, რომ ჩვენს უსახურ ჩემპიონატში ოსტატობას ვერ აიმაღლებენ, თამაშებს კვლავაც უოფლოდ მოიგებენ, აქედან გამომდინარე, ვარჯიშებსაც უკულოდ მოეკიდებიან, ეს კი გუნდში დისონანსს შეიტანს. ამიტომ, ყიფიანს მალე, ჩემი აზრით, ყველაზე სწორი გადაწყვეტილებების მიღება და შესრულება მოუწევს:

„დინამო“ კიდევ ერთხელ უნდა გაახალგაზრდადეს...

— 4 იანვარს გუნდი შეიკრიბება და ნათელი გახდება, ვისთან მომიწევს მუშაობა. მეთოდურად მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ გუნდი მთლიანად უნდა გაახალგაზრდადეს. ალბათ ეს ყველაზე ლოგიკური და წინდახედული ნაბიჯი იქნება. ისე, თქმა ადვილია, თორემ განა ასე იოლია, იმუშაო გუნდთან, რაღაც შედეგს მიაღწიო, იყოს ყველა პირობა გუნდის გაძლიერებისა, ავტო ჩემპიონთა ლიგის პერსპექტივებიც გამოკრთოს და... მხოლოდ იმიტომ, რომ მავანთა გამო შენი ქვეყნის პირველობა დაბალი დონისაა, გუნდი მერამდენედ დაგეგმოს და ისევ ყველაფერი ხელახლა დაიწყო.

ვთქვათ, მოვიყვანე კიდევ 5-6 კაცი „დინამო-2“-დან, ვიმუშავეთ, არ არის გამორიცხული, ბიჭების შეთამაშებას დრო დასჭირდეს და პირველობა ვერ მოვიგოთ. იცით, რას იტყვიან ოპონენტები?

— ხედავთ, როგორ ამაღლდა ჩვენი ჩემპიონატის დონე. „დინამო“ უკვე ვეღარ ხდება ჩემპიონი. განა ეს სასაცილო არაა? ჩემპიონატის დონე ხომ მაშინ აიწევს, როცა სხვა გუნდები მოვლენ ძლიერი „დინამოს“ დონეზე და არა მაშინ, როცა „დინამო“ ჩამოვარდება სუსტი გუნდების დონეზე. აი, ასეთი კომიკური სიტუაცია იქნება. მოკლედ, სანამ ჩემპიონატი არ გაძლიერდება, კედელს ცერცვი უნდა ვაყაროთ და მუდამ თავიდან დაევიწყოთ...

— ბატონო დავით, მომავალში ამ საჭირობოროტო თემას უმჯობესად დაფიქრებულით, ახლა კი ის გვითხარით, რა მოხდა ინგლისში ისეთი, ყველაფერი რომ ავტომატურად დასრულდა ერთი მატჩი ჩაატარეთ.

— სხვათა შორის, სამწუხაროდ, „დინამოს“ ოფისში თქვენ არასწორი ინფორმაცია მოგაწოდეს — ვეთამაშეთ არა „ბარნსლის“, არამედ „ბორნუთს“, ამავე სახელის მქონე ორასათასიან ქალაქში.

ინგლისში კი ის მოხდა, რომ ინგლისელმა მენეჯერმა პირი გვეტეხა, ჩასვლისას გვითხრა, რომ იმ შემთხვევაში შედეგობა ჩვენი ტურნე, თუკი მათ ფორმას დინამოელი ფეხბურთელების ყიდვა-გაყიდვამდე ექსკლუზიურ უფლებას მივანიჭებდით ორი თვით. სახტად დავრჩი, რაკილა წინასწარი მოლაპარაკებისას მსგავსი არაფერი თქმულა. ასეთ ნაბიჯს ჯენტლმენობით საყოველთაოდ ცნობილი ინგლისელებისგან ნაღდად არ ველოდით.

— შელისა და რევიშვილის „დინამოში“ დატოვებზე ახალს ხომ ვერაფერს გეტყვით?

— შელია და რევიშვილი კი არა, ზემოთაც გითხარით, ნახევარი გუნდი მიდის-მეთქი.

— ფეხბურთელთა წასვლა გასაგებია, მაგრამ ალბათ საშინაო ბაზარზეც მოქმედებთ, რათა წარუდგინოთ შორის შესვენებისას „ქართული ბაზრიდან“ დაიმტკიცოთ რომელიმე ფეხბურთელი. თუ სიიღმლო არაა, ვის დაადგით თვალი?

— ადრეც იყო ლაპარაკი, რომ მიხე-

ილ აშვეთიას „დინამოში“ თამაში გე-სურდა. შემდეგ მოხდა ისე, რომ აშვეთიას „ტორპედოში“ აღმოჩნდა. ვიცი, რომ აშვეთიას სურს „დინამოში“ თამაში. თუ არაფერი შეიცვალა, იგი იანვრიდან „დინამოში“ გადმოვა და თუ ჩემპიონობა მოვიპოვეთ, ჩემპიონთა ლიგისთვის საბრძოლველად თავის წვლილს შეიტანს. ვფიქრობ, „დინამოში“ აშვეთია კიდევ უფრო მოუმატებს და ჩვენს თავდასხმას მნიშვნელოვნად გააძლიერებს.

ასევე მსურს ჩამოვლილი მძლავრ წევრების გასინჯვა, მეც მომეწონა სა-ქევიძის და სხვებისგანაც კარგი მესმის. აი, ძირითადად ეს შეიძლება იყოს „დინამოს“ შენამატი ახალი წლისთვის, დანაკარგზე კი ზემოთ გითხარით.

— მოსკოვის ტურნირისთვის რი-დიდან იწყებთ მომზადებას?

— როგორც გითხარით, 4 იანვარს შევიკრიბებით, კონტინენტის გადავხე-დავით და მზადებასაც დაიწყებთ. მოს-კოვის ტურნირის იმდენად აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, რამდენადაც ის თავად ას-რულებს სეზონისთვის მომზადების ფუ-ნეციას ჩვენთვის. ახალგაზრდა ფეხბუ-რთელთათვის, წელს რომ უნდა დაეი-მატოთ, ესენები ტურნირი „დინამოში“ ადაპტაციისა და გამოცდილების მიღე-ბის ჩინებული საშუალება იქნება.

— რატი ალექსიძით „ჩელსი“ სე-რიოზულად დაინტერესდა. რას უპო-რებთ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელს?

— რა ვქნა, ბიჭს მტრად ხომ არ მოეგეპოვება, „ჩელსიში“ თამაშის შანსი აქვს და აქ როგორ ჩამოვიყვანო? რომ ჩამოვიდეს, უკველია, რომ ვერც ვარ-ჯიშებს დაუღებს გულს და შეიძლება, საერთოდ დაიკარგოს ფეხბურთიდან. მე დავეთანხმე კლუბის დირექტორატის გა-დაწყვეტილებას, ყველანაირად შეუწყონ ხელი ალექსიძეს „ჩელსიში“ ამ ეტაპზე დასასრულებად. როდესაც ვიზას ვადა გა-უვა, მერე ვფიქრობთ, ღირს ალექსი-ძის იქ დატოვება თუ ჩამოყვანა უფრო უპრიანი იქნება.

— გაგიგე თებერვალში, თურქმე-ნეთის ტურნირის გაზრდა ჩვენში შე-კრების ვარიანტიც გქონიათ. რას აპო-

რებთ?

— თურქმენეთისა და ჩვენთვის გარდა არგენტინის ვარიანტიც არის, მაგრამ, როდესაც დაფიქრდი და გაეანალიზე, უპირატესობა თურქმენეთს მივეცი და აი, რატომ: ნაკლები ხარჯი, ჩინებული ამინდი, კარგი დახვედრა და პირობები, გარანტირებული თამაშები (ამას ხაზს ვუსვამ, რადგან არგენტინაში და ჩეხეთში ვის უნდა ვეთამაშოთ საკონტრო-ლო მატჩები, ჯერ ცნობილი არ არის) სხვადასხვა ქვეყნების მეტოქეებთან არა-ნაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თურქმენეთში გვყავს ჩვენი ელჩი — პენრი პატარაია, ფეხბურთის მოყვარუ-ლი კაცი, რომელიც ყველა პრობლემას მოგვიგვარებს, თუკი ასეთი გამოჩნდა. ბატონ პენრისთან მეგობრობაც გვაკავ-შირებს. მოკლედ, ამ და სხვა მიზეზთა გამო უმჯობესად თურქმენეთს ვარჩევთ.

და კიდევ ერთი, თურქმენეთში წასუ-ლი „დინამო“ უკვე ის გუნდი იქნება, რომელიც დაიწყებს მერე ჩემპიონატის მერე წრეს...

— ნუთუ არ შეიძლება, მოსკოვი-დან პირდაპირ ჩაფრინდეთ თურქმე-ნეთში, წრეტი ვერა შეკრებაზე იყოთ, მერე კი ტურნირიც დაიწყებთ...

— საშუალებას, რა თქმა უნდა, გა-მოვანახებთ და არც თურქმენები იქნები-ან ალბათ უარზე. ერთი კვირით ადრე მივედი, მაგრამ აქ მერე მომენტია — როდემდე დავრჩებით ესენებს ტურ-ნირზე. ფინალი 2 თებერვალს გაიმარ-თება, მანამდე ნახევარფინალები და მე-ოთხედფინალები. მოკლედ, არაა გამო-რიცხული, ვაღამდე დაეტოვოთ ტურნი-რი...

ისიც გასათვალისწინებელია, რომ თუ-კი მოსკოვიდან პირდაპირ თურქმენეთს გავემგზავრებით, ძალზე ხანგრძლივი შე-კრება გამოგვივა, ეს კი მავნებელი იქ-ნება ახალგაზრდა ფეხბურთელთათვის — გადაიწყვებიან, ამიტომ მოსკოვიდან ჯერ თბილისში ჩამოვალთ, დავისვენებთ და მერე გავემგზავრებით თურქმენეთს.

მამუკა კვარაცხელია
ბადრი კამთილაძის ფოტო



რუსეთი ყველასგან და ყველაფრისგან გამორჩეული სახელმწიფო რომ არის, ალბათ დაგეთანხმებით. ვფიქრობ, არც იმას სჭირდება ზედმეტი მტკიცება, რომ ფეხბურთშიც ასევეა. თუ წამყვან ევ-როპულ ქვეყნებში გავანია ჩემპიონატი-ბა, რუსეთში ჩაიხრა საფეხბურთო ცი-ვილიზაცია და უკვე მომავალზე ფიქ-რობენ თუმცა, შემდეგი ჩემპიონატი შე-იძლება სულ სხვა სისტემით ჩატარდეს (იგულისხმება შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპი), ამისი უმთავრესი მხარდამ-შენი რუსეთის საფეხბურთო კავშირის ფეხბურთელი ვიანესლავ კოლოსკოვი. მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი მხო-ლოდ განხილვის პროცესშია. რუსეთში მო-თამაშე ლეგიონერები კი მინ ბრუნდე-ბან. ერთ-ერთი მათგანი თბილისის „შე-ვარდენის“ ყოფილი ფორვარდი მამუკა მინაშვილია. იგი სამარის „კრილია სო-ვეტოვის“ ღირსებას იცავდა და გასუ-ლი პირველობის მერე ფაქტიურ-ად, ტრავმის გამო მთლიანად გამო-ტოვა: ამასობაში კონტრაქტის ვალაც გაუქვია... თუმცა, ამ და სხვა საინტე-რესო ამბებზე თავად მამუკა უკეთ გე-იმბოლს.

სამარაშიც ქართული ტრიოა

— მართალია, „კრილია სოვეტოვთან“ კონტრაქტი დამითავრდა, მაგრამ, დარ-წმენილი ვარ, ახალზე მოვაწერ ხელს. ეს ჩემი სურვილიც არის და კლუბის ხელმძღვანელობისაც. მეუბნებიან, არსად გაგიშვებთო. მეც რაღა დამრჩენია, მხო-ლოდ რამდენიმე პუნქტს დავაზუსტებ და წ დეკლარაციისთვის ალბათ ყველაფერი მო-გვარდება.

— სხვა გუნდებიდან არ გაქვს მიწ-ვევები?

— იყო რამდენიმე წინადადება რუსე-თის გუნდებიდან, ისიც წინა სეზონის დაწყებამდე, მაგრამ მწვერთვობა არა-ფერი შემატყობინა, ჩემთვის არაფერი უთქვამს. როგორც შემდეგ გავიგე უბ-რალოდ, ჩემი გაშვება არ უნდოდა.

— შენი გუნდის შედეგით კმაყო-ფილი ხარ?

— რატომაც არა. გუნდის არსებობის მანძილზე, მისი რუსეთის ჩემპიონატე-ში მონაწილეობის ისტორიაში მე-9 ად-გილი, საუკეთესოა. ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს შორის ურთიერთგაგება სუფევდა და ამიტომ შედეგიც ლოგიკუ-რად მიჩვენება. ისე კი, უკეთ გამოსვლაც შეგვეძლო. ალბათ ვახსოვს, სეზონის და-საწყისში ლიდერებშიც ვიმყოფებოდი, მაგრამ დროებით, შემდეგ მოთამაშეთა უმრავლესობა დაშავდა, ტრავმებმა გაა-წამა და მთელი ჩემპიონატის სიმძიმე 11 კაცის მხრებზე გადაიარა. ამათაც სეზო-ნის ბოლოს დაღლილობა დაეტყოთ, ნაწილობრივ აირია ტაქტიკური სქემა. საბოლოოდ კი ჩამოვქვეითდით.

— შენს განმრთვლებზე რას გე-ტყვი? მასოს, სეზონის წინ ჩინებულ ფორმაში იყავი. სამწუხაროდ, მენისის ოპერაცია დაგვარდა. მერე წრეც ხომ ფაქტიურად, გამტოვებ?

— პირდაპირ გამაწამა ფეხის ტკივი-ლობა. ჯერ იყო და, ორი თვე მყესები მქონდა დაჭიმული, შემდეგ, „ალანისთან“ თამაშისას კიდევ უფრო გამძიმებდა. მკურნალობა არ დამეშთავრებინა, მენი-სკი აღმომაჩნდა, 4 თვე ბუროს საერთოდ არ გავკარებდივარ. ახლა არა მიშავს. ბოლო რამდენიმე თამაშში შეცვლებზეც

შევიდი, თუმცა, იქამდე აშკარად ბე-ერი მაკლდა, რაც სეზონის დასაწყისში ვიყავი. არადა, ალექსანდრ ავერიანოვი ჩემზე ღირ იმდენად ამყარება.

— აქი განაცხადა კიდევ ერთი ინტერვიუში, მინაშვილი უკეთეს ფო-რმაშია, ვიდრე გარნიე აგალიანო.

— რა ვქნა, არ გამომართლა. მაგრამ ყველაფერი წინაა, მომავალ სეზონში ყველაზე დაუშვტიკიც ჩემს სიძლიერეს.

— მწვრთნელთან როგორი ურ-თიერთობა გაქვს?

— ძალიან კარგი. ჩვენი ურთიერთო-ბა არასოდეს გამწვავებულა.

— კიდევ ერთი ქართველია „კრი-ლია სოვეტოვში“ — ზურაბ წიკლა-ური.

— ზურა მართლაც ნიჭიერი ფეხბუ-რთელია. აქ ჩამოსულმა ყური მოვკარი, მისი ახალგაზრდული ნაკრების ხელ-მძღვანელობა დაინტერესებული, მა-გრამ საქმე ბოლომდე არ მისულა. ისე, ვლადიმერ გუცაივი მართალიყა. ზუ-რას წლებადღე სეზონში ჩაყარდა ჰქონდა. სხვათა შორის, ქართველი კი-დევე გვყავს.

— სწორედ გვ მინდოდა მეკითხა. ზურაბ ფოფხაძის საქმეები როგორ-დაა?

— კლუბის ხელმძღვანელობას იგი ძალიან მოეწონა, დარჩენაც შესთავ-ხეს, მაგრამ თამაშით ვერ ითამაშა. რუ-სეთის „მეტალურგიდან“ წამოსვლა შე-ავიანდა, პირველი წრის შემდეგ განა-ცხადდა მისი შეყვანა კი ვერა მოხე-რხდა. ამდენად, მხოლოდ ვარჯიშობდა, მაგრამ მომავალი სეზონიდან ნამდვი-ლად ითამაშებს ჩვენთან...

— ესე იგი, სამარაშიც ქართული ტრიო იქნება. რაიმე სირთულეები ხომ არ გელით?

— არა მგონია. ქალაქსაც და გუ-ნდაც მშვენიერად შევეგუეთ. ერთადეც გვიადვილებდა. ხალხიც არ არის ცუდი, ქართველებს არაფერს ერჩიან, პირიქით, გვამხნევენ ხოლმე და საერთოდ, „კრი-ლია სოვეტოვში“ შეიძი სხვადასხვა ეროვნების ფეხბურთელი თამაშობს.

— როდის შეიკრიბება გუნდი?

— 16-ში ჩავალ სამარაში. სამედიცი-ნო შემოწმებას გავივლით და 20-დან ვარჯიშსაც შევუდგებით. საახალწლოდ ერთი კვირა კიდევ დავისვენებთ, შემდეგ ანთალიაში ან კვიპროსში გავავრძელებთ მზადებას. საერთოდ, დიდი მიზნები და-ვისახეთ.

კლუბის დირექტორთა საბჭო უკვე შეიკრიბა. ასევე — ქალაქის ხელმძღვა-ნელობა, შემდგომ ფორმათა პრეზიდენ-ტები, რომლებმაც კლუბს მიზნად ექუ-სულში მოხვედრა და ევროპის რომე-ლიმე თასზე ასპარეზობა დაუსახეს. ყვე-ლა პირობას შეგვიქმნით, შეგვიპირდეს. ვნახოთ, რა გამოვა. ალბათ, წლებადღე-



ლზე უკეთ ვითამაშებთ.

— სხვა ცვლილებები თუ არის მო-სალოდნელი?

— ზუსტად ვერაფერს გეტყვი. ისე კი, ავერიანოვი მცველების დამატებას აპირებს. ერთი ფოფხაძე, სხვა ვინ იქ-ნება, არ ვიცი.

— როგორ ფიქრობ, ღირსეული ჩემპიონი ჰყავს რუსეთს?

— „სპარტაკზე“, ამას ვერ ვიტყვი. ჩემი აზრით, მისი ჩემპიონობა არ არის ლოგიკური. წლებადღე სეზონში საჩე-მპიონო გუნდი „როტორი“ უფრო იყო — შემსრულებლებითაც ყველას სჯო-ბდა და თამაშის დონითაც. პირადად მე ამ გუნდის უფრო მწამდა, ვიდრე „სპარ-ტაკის“. „ალანიაზე“ კი საერთოდ აღა-რაფერს ვამბობ, მარშანდელზე გაცი-ლებით სუსტად გამოიყურებოდა.

ირაკლი მიქაელაშვილი

ეს, ნამსკლელ დამარცხებას გაუგებრობა!

CHAMPIONS
LEAGUE

A ჯგუფი

ბარსელონა 0:1 აიბასი


გრასხოვერი: ცუბერბოლერი, ტუდერი, გრენი, ეხიზიტი (კო-
მიტი 20), იაკინი, ლომბარდო, ნეშვიძი, სმილიანი, მო-
დოვანი, ფოგელი (მანინი 63), ხუბია
აიბასი: ვან დერ სარი, ფელდმანი (მელბორტი 40), ფ. დე ბური,
რ. დე ბური, სხოლტენი, პაპანგიდა (ვუტერი 85), მუხამა,
სელინტერი, როიზერი (ლიტანენი 62), კლუივერტი, ივერმარსი
გოლი: კლუივერტი (32)

„პარდტურმის“ სტადიონზე შეკრებილ 22 ათას ციურბელს იმე-
ლი გაუცრუვდა. მატჩი იმ შედეგით დამთავრდა, რომელსაც მეტოქის
მწვრთნელმა ფანტასტიკური უწოლა.

ჩვენთვის ეს შედეგი ფანტასტიკურია — თქვა ლუის ვან
გალმა — ზამთრის არდადეგების შემდეგ უამრავი დამავებული
მოთამაშე დაგვიბრუნდება. ჩემპიონთა თასის მოპოვება ერთადერთ
მიზნად გვაქვს და მთელ ყურადღებას მისცენ მივმართავთ.

გამარჯვების გოლი 32-ე წუთზე პატრიკ კლუივერტმა გაიტანა.
ამ ეპიზოდში მას ჩიუბული ასისტენტობა ნიგერიელმა ტრეჯანი პაპა-
ნგიდამ გაუწია.

მეორე ტაიმში „გრასხოვერმა“ მძლავრად შეუტია. ამსტერდამე-
ლებს ციურბელთა ზეწოლა საკმაოდ ეძიმათ და ერთი-ორჯერ
ლილი შიშში ჭამეს.



გრასხოვერი — აიბასი: ვიორელ მოდოვანი
ფრანკ დე ბურის ჩამოცილებას ცდილობს

მსაბი 2:1 რინგჰარსი

ოხერი: კული, გომა, დანიუ, ხილვეტერი, რაბარინი, ხიბი,
ვიოლე, ახატი, ლეპოლი (სიბონი 78), მარლე, ლახლანი
რინგჰარსი: გორაბი, შილდუ, გავი, პეტრინი (მაკოისტი 60),
მური, რობერტსონი, მაინი, ფერგიუსონი, სტივენსი, ანდერსონი,
ვან ფორენი (უილსონი 46)

გოლი: ლახლანი (20), მარლე (32), გავი (36)
„რინგჰარსმა“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირი საცოდავად
დაასრულა — ექვსიდან ერთი მოიგო, ხუთჯერ კი მარცხი იწვნია.
გლახგოს გუნდმა საფრანგეთის პაწაწინა ქალაქ ოსერში წააგო,
ბოლო თამაში, მისმა მწვრთნელმა კი ეს მარცხი პირველი გოლის
ფაქტორს დააბრალა.

მე-20 წუთზე მცველმა ფრანკ რაბარინომ მარცხენა ფრთიდან
შეუტია და სტივ მარლეს ჩააწოდა. მარლეს თაური ენდი გორამმა
მოიგერი, მარამ ლილიან ლასლანდმა ბურთი უმაღ ბადემი შეა-
გდო. თორმეტი წუთის შემდეგ მეორე გოლის ფაქტორი ამქვედა.
მარლემ შუა მოედანში იდო ბურთი ხელთ და შოტლანდიელთა
კარისკენ დაიძრა. მისი საუცხოო დრიბლინგი ვერაინი შეაჩერა, ფე-
ხაურთელმა თითქოსდა დაკარგული წონასწორობა შეინარჩუნა და
მიზანს მიაღწია. 36-ზე ფრანგებმა ორი გატანილის მერე გაშვებული
ერთი გოლის ფაქტორი იწვნეს. „რინგჰარსმა“ კაპიტანი რინარდ
გავი მასპინძელ მცველებს „დაემალა“ და თაურით სხვაობა შეამცო-
რა. სხვათაშორის გავი სეზონის ბოლოს ფეხბურთისთვის თავის
დანებებას აპირებს.

ოსერი	6	4	0	2	8:7	12
აიბასი	6	4	0	2	8:4	12
გრასხოვერი	6	3	0	3	8:5	9
რინგჰარსი	6	1	0	5	5:13	3

B ჯგუფი

დორტმუნდი 5:3 სტიუარსი

დორტმუნდი: კლინი, რაინმარტი, ზამერი, ცორკი, შაპუიზა,
რიდლე (ტანკო 4), ლამბერტი, კოდერი, კრეე, პანინი (პედ-
რინი 68), ტრეტოკი
სტიუარსი: სტილია, ნავი, ხიკი, ბუფერი, მილიტარუ, კაღინი,
ილიე, ბაჩუ, მიუ, როხუ, სერბანი (გოროიუ 65)
გოლი: შაპუიზა (13, 23), ილიე (18 პ), ტრეტოკი (44), ბაჩუ
(52), რიდლე (62), ცორკი (64), კაღინი (79)

მე-13 წუთზე შტეფან შაპუიზამ ჯარიმიდან გახსნა ანგარიში. სა-
ბინ ილიემ მალე პენალტით გაქვითა, მაგრამ შაპუიზამ უმაღლე
მეორე შეაგდო. პირველი ტაიმის მიწურულს რენე ტრეტოკმა სხ-
ვაობა გაზარდა. მეორე ტაიმში ჯერ მარიუს ბაჩუ ივარდა, მაგრამ
მის გოლს კარლპინი რიდლემ და მიხაელ ცორკმა ზედ ორი
დააყარეს. თამაშის დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე აურელ
კაღინმა მატჩის მერვე და თავისი გუნდის მესამე გოლი გაიტანა.

— ძველი მატჩი იყო, „სტიუარსი“ არ ნებდებოდა — თქვა შეხვე-
დრის შემდეგ „დორტმუნდის“ მწვრთნელმა ოტმარ ჰიფელდმა —
ჩვენ გვინდოდა გულშემატკივრისთვის სანახაობა შეგვეთავაზებინა,
დაცვაზე ზედმეტი ფიქრის გარეშე. ეს იყო ტიპური შეხვედრა,
როცა ერთ გუნდს თავი ქუდში აქვს.

ატლანტიკი 1:0 პრემიერ

ატლანტიკი: მოლინა, პაბლო, ხელი, ხანტი, ტონი, კამინერო
(აგილერა 46), ვისკანო (მეიბლი 46), ხიშონე (ლოპესი 85),
პანტინი, ეხიზიტი, კიკო
ფიქვე: ზნენი, შიშოვიკი (მიაშკევიჩი 88), ლაბინკი, ვოიტალა,
ციტკო, მიხაილი, შერვიცი, მიხაილუკი (ვიხიშკევიჩი 78),
პოგუზო, მიაიკი, დემინიკი
გოლი: პანტინი 83

მედიკალი ტური

ამ შეხვედრაში აურაცხელი მომენტი შეიქმნა, მაგრამ გოლი მხო-
ლოდ ერთხელ გავიდა. ყველას ადრეა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ
აქეთ-იქით თითო ადგილზე.

მარდინელმა პირველი მომენტი მეხუთე წუთზე შექმნეს. არგე-
ნტინელი დიეგო სიმონე რომელიმე იმ დილით ესპანეთის მოქალა-
ქეობა მიიღო საუცხოო მდგომარეობაში იყო, მაგრამ ვერ ისარგე-
ბლა. პოლონელმა რადოსლავ მიხალსკიმ კი 35 მეტრი ირბინა ბუ-
რით, მეტოქედ შეკარვდა შემოიჭრა, მაგრამ უზუსტოდ დაარტყა.

ატლანტიკი	6	4	1	1	12:4	13
დორტმუნდი	6	4	1	1	14:8	13
სტიუარსი	6	1	1	4	5:15	4
ვიქვეი	6	1	1	4	6:10	4

C ჯგუფი

იუვენტუსი 2:0 ფინიქსი

იუვენტუსი: პერუცი, ტორინელი, პორინი, მონტრო, დი დივიო,
ჯულიანი, ლომბარდო, ტაინარდო, ზიდანი (ფერერა 77), დედ
პიერი (ამორუზი 46), პადოვანი

ფინიქსი: რუშო, გოლი, საფეტი, უნე, ილქერი (მუხტაფა
83), თუნქაი (თარიჩი 72), ოკოა, პოგო, ხენთურტი, ზოლინი,
კოხტადინოვი

გოლი: პადოვანი (42), ამორუზი (85)

„იუვენტუსს“ ამ თამაშში გამარჯვება არაფრად სჭირდებოდა. გა-
ლატერული კალენდრის შემოყრე მარცხი ლიბის სათადარიგო
შემადგენლობის გამოცდაც შეეძლო და თან, თუკი „ფინიქსს“
ახეივებდა „მანჩესტერი“ კი ვენაში „რაბიტს“ ვერ მოუგებდა რეა-
ლადიერეს შორის ინგლისის ჩემპიონის ნაცვლად თურქეთისას გა-
იყვანდა, ეს წინადადება კი შესაძლოა ბოლოს კარგად გამოდ-
გომოდა. მაგრამ სიტყვა სიტყვა. აღუთქვა ლიბი მანჩესტერელებს
„ფინიქსს“ მოუგებო და აღასრულა.

— „იუვენტუსმა“ პროფესიონალიზმის მორიგი მაგალითი აჩვენა.
მოგება ჩვენი მოვალეობა იყო — თქვა ამაყმა მწვრთნელმა —
„მანჩესტერი იუნაიტედმა“ კი ვენაში გაიმარჯვა და ვიქტორ შეი-
ლუბა მიხს თქმა, რომ ჩვენი ჯგუფიდან ობიექტურად ძლიერი გავი-
დნენ. მეოთხედფინალში „მილანი“ რომ გასულიყო ჩვენი ბრძოლა
უთუოდ ამაღლებული რამ და პრესტიჟის საქმე იქნებოდა, ამიტომ
მაც გული დამწყდა.

რაბილი 0:2 მანჩესტერი იუნაიტედი

რაბილი: კონელი, ივანოვი, შიოტელი, ცინგლერი, პროხენიკი,
პერაფი, კუბაფერი, შტოიგერი (მანდრეკო 66), რაბაიჩიკი,
ვაგნერი, შტუმი (პენა 63)

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, პაღისტერი, მეი, ირვინი,
ბათი (პოპოვიჩი 81), ბექევი, კინი (მაკლერი 77), გიგზი
(კასპერი 89), მოდჰიკერი, კანტონა
გოლი: გიგზი (24), კანტონა (72)

— არც გამოვიდა გულში, რომ „იუვენტუსი“ გელატატებდა —
თქვა პრეს-კონფერენციაზე „მანჩესტერი იუნაიტედის“ მწვრთნელმა
ალექს ფერეისონმა — ჩვენ კი გამარჯვებას ვიმსახურებდით. კმა-
ყოფილი ვარ, როგორ ითამაშა გუნდმა. „რაბიტს“ ხუთწუთიანი მონა-
კეთი ჰქონდა, როცა გვავიჯდა და ამისთვის კინაღამ დავისავეთ,
მაგრამ შმაიხელმა ფანტასტიკურმა თამაშმა გვისწა.

იუვენტუსი	6	5	1	0	11:1	16
მანჩესტერი	6	3	0	3	6:3	9
ფინიქსი	6	2	1	3	3:6	7
რაბილი	6	0	2	4	2:12	2

D ჯგუფი

80ლანი 1:2 რუსენბორგი

80ლანი: რობი, რაიციგერი (ლოკატელი 76), კოხტაგურტი, ბარე-
ზი, მადინი, საფიჩიკი, ალბერტინი, ბობანი, ამბროზინი
(პანუნი 46), ბაჯო (სიმონე 46), დუგარი
რუსენბორგი: იამბტალი, პოფტინი, სტენსაახი, სტრანდი (იკო-
ბენი 90), სკაპელზრუდი, ბრატაკი, პეგევი, პიელდე, ივერნე-
ნდი, კვარამ, სოლტვედტი

გოლი: ბრატაკი (29), დუგარი (45), პეგევი (70)

ესეც არიგო საკის პირველი მატჩი „მილანში“. ისეც წყველა-
კრულა და სტყენა.

— ალიბის მიხედვით არ გვამართებს; შეცდომების ამოცნობა და გას-
წორება კი ჩვენი მოვალეობაა. ცალკეულ მოთამაშეებზე და მათ
შეცდომებზე ყველაფრის გადაბრალვა უსამართლობა იქნება. აგებს
თერთმეტი კაცი, ამიტომაც მარტო როსის დადანაშაულება (მეორე
გოლზე მეტად შეცდა) არ ეგებისაბუქება მოინდომეს, მაგრამ ეს
გუნდური ჯაფა არ იყო, „რუსენბორგი“ კი გუნდზე მეტი იყო, ყველა
მოთამაშე სხვების დახმარებაზე ფიქრობდა. მათ ფიზიკურ მომზადე-
ბაში და პრესინგში გვაჯობებს. მეორე გოლი რომ გავუშვით, მეტოქე
მარტო იყო ჩვენი სამი მოთამაშის წინააღმდეგ. თან ის მეტოქე
ჩვენებზე დაბალი ვახლდათ — თქვა პრეს-კონფერენციაზე საკი.

ბიომბორგი 0:2 პორტო

ბიომბორგი: რაველი, ოლბონი, ლუკინი, გრიკონი, პეტრონოვი,
ლინდკვიტი, ნილბონი, ანდერსონი, ბლოკვიტი, კრდინგმარი,
დნდებრევი (იუბანონი 18)

პორტო: ილარიო, ალგუნი, მენდესი (არტური 46), კონიხიზაო,
დრულოვინი, ფარდელი (ბარუზი 80), ბაროზო, პინტუ, ხანტუმი,
დამილბონი, ზამოინი

გოლი: ფარდელი (64), დამილბონი (89)

ციც ნალექიან და ქარიან საღამოს თამაში მეტოქეებს არაფრად
სჭირდებოდათ, „პორტო“ ისედაც გასული იყო, „ბიომბორგი“ —
ვერგასული. შედეგში პირველობა ერთი თვის წინ დასრულდა და
ფორმიდან აბსოლუტურად ამოვარდნილ „ბიომბორგში“ ერთადე-
რთი ნათელი წერტილი ნახევარმცველი იესპერ ბლომკვისტი გა-
ხლდათ, ისიც თამაშის მეორე დღეს მილანში გაფრინდა — აწი
საკის შეგირდი იქნება.

პორტო	6	5	1	0	12:4	16
რუსენბორგი	6	3	0	3	7:11	9
მილანი	6	2	1	3	13:11	7
ბიომბორგი	6	1	0	5	6:12	3

მეოთხედფინალში 5 და 19 მარტს ერთმანეთს შეხვებიან:
დორტმუნდი — ოსერი, მანჩესტერი — პორტო, აიბასი — ატლე-
ტიკო, რუსენბორგი — იუვენტუსი.

ბაპუნა კილია

იგალობი

ბრანდელი 2:1 საუთჰემპტონი

არხენალი: ლუკინი, დიქსონი, „უილფრედო“, ვიკორო, ბოლელი,
ადაში, პლატი (პარლოუ 77), რიტი, ფერინი, ლინტენი,
პარტონი (შოუ 77)

საუთჰემპტონი: ბიზანტი, დედა (მანკუ 33), მელიტოვი, მელი-
სონი (სელიტერი 74), ნარლტონი, ოუქლი (უოტსონი 64),
დრეიდენი, ლუნდკვიტი, ბერკოვიჩი, ოსტენტადი, ვან გობელი
გოლები: მერსონი (43), რაიტი (57 პ), ბერკოვიჩი (81)
გაფრთხილება: ვივირა, ლუნდკვიტი, ნარლტონი

ლონდონელები იოლ გამარჯვებას ელოდნენ, თუმცა სუნესის გუ-
ნლი მათ მაგრამ დაუხვდა და აგრძნობინა, რომ 3 ქულის მოსაპოვე-
ბლად ბერი ოფლის დაღვრა მოუხდებოდათ. საწყისი 10-15 წუთი
თანაბარი იყო, ტაიმის შუიდან კი „მეთოფების“ უპირატესობა გა-
მოიკვეთა. საზოგადოებრივ უტევედა მერსონი, რომელმაც რაიტთან ერთად
საკმაოდ კარგი წყვილი შექმნა. 25-ე წუთზე „არსენალის“ კარი
სასწაულოდ გადაურჩა გოლს, ბერკოვიჩის დარტყმული ბურთი ზედ
კარის ზაზიდან გამოიტანა დიქსონმა. შესვენებამდე ორი წუთით
ადრე ვივირას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა შედეგიანად გამო-
იყენა მერსონმა. მეორე ტაიმში ლუნდკვიტმა უხეშად ეთამაშა რაიტს
და მსაჯემ უმაღ პენალტი დანიშნა და რაიტმავე სხვაობა ორამდე
გაზარდა. მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე კი ბერკოვიჩმა
ისეთი გოლი გაიტანა, რომლის გაცუდება ძალიან ძნელი იყო.

ვისტ პრემი 0:2 ასტონ ვილა

ვისტ პრემი: მიკლოშო, ბრეიკერი (ბოუენი 69), დიქსი, ბიშოპი,
რიპერი, რადფორუ, როუდენი (ლაზარიდისი 45), დაუი, მო-
ნუერი, მიუზი, ბილინი

ასტონ ვილა: ოუქლი, ნელბონი, რაიტი, ებოგუ, სტონტონი,
შეიმცვა, თაფენდი, ტილორი, დრეიდენი, მელიტოვიჩი, იორკი
გოლები: ებოგუ (38), იორკი (74)
გაფრთხილება: მიუზი, მონუერი

სტუმრად მოპოვებულმა მესამე გამარჯვებამ სტუმრები მეხუთე
ადგილზე აანაცვლა. „ასტონ ვილას“ უპირატესობა საგრძნობი იყო,
განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტრინიდადელი დუატი იორკი. მასპინ-
ძელთა რიგებში გამოჩნდა რადფორუ, რომელსაც პრემიერლიგაში
მარტის შემდეგ არ გაუტანია. რუმინელმა ფორვარდმა სტუმართა
კარის დალაშქვრის ბრწყინვალე მანისი გაუშვა ხელიდან და უი-
ლბლო მატჩთა სერია კიდევ ერთი გააგრძელა. ორივე გოლი კუ-
თხურს მოჰყვა, ორჯერვე ეპიზოდში და ორჯერ თაური გაიტანეს.
პირველ დივიზიონში გამართა ერთი მატჩი. სტოკი — ჩარლტონი 1:0

ლანსა გოლდსტად

ლი დარჩა

„მანჩესტერი სიტის“ დირექტორმა ფრენსის ლიმ განაცხადა, რომ
იგი არ მიდის კლუბიდან. 61-იანი წლების ვარსკლავი სამი წლის
წინ ჩაუდგა „სიტის“ სათავეში და ისე მოხდა, რომ სულ უკან
დასწრა კლუბის საქმეებში. ახლაც, პრემიერლიგის გაყარვის შემ-
დეგ კლუბი მეორე დივიზიონში შესაძლო გადამსვლელთა „მარაქა-
ში“ ურევია, სწორედ ამის გამო მოითხოვდნენ გაგულისებულ გუ-
ლშემატკივრები ლის წასვლას. ხუთშაბათს მან განაცხადა: „გულშე-
მატკივრებმა მე, ჩემს მეუღლეს და ოჯახს შეურაცხყოფა მოგვაყ-
ენეს, მათგან ასეც მოქცევას არ მოველოდი. ძალიან მეწყინა. მე
გუნდთან დღესაც ისეთივე დამოკიდებულება მაქვს, როგორც იმ
პირველ დღეს, როცა კლუბში ფეხი შემოვიდგი.“

აგანტინელთა ზეობა

„ლანსუმა“ და „ველვემს“ მოიპოვეს კონმბოლისა და სამხრეთ
ამერიკის სუპერთასები. „ლანსუმა“ კონმბოლისს თასის ფინალის
საპასუხო შეხვედრაში 0:1 დამარცხდა კოლუმბიური „სანტა ფე-
სთან“, შინ კი 2:0 ჰქონდა მოგებული და თასსაც დაეუფლა. ეს
საპასუხო მატჩი „სანტა ფესთვის“ ბრწყინვალედ დაიწყო, უკვე მე-
სამე წუთზე ფრანსისკო უიტინგმა პენალტით დააწინაურა თავი
სიანები, მაგრამ სტადიონზე მისულმა 50 000 გულშემატკივარმა მე-
ტი გოლი ვეღარ იხილა. „ველვემს“ კი ბუენოს აირესში სამხრეთ
ამერიკის სუპერთასის ფინალის საპასუხო შეხვედრაში 2:0, საერთო
ჯამში 3:0 მოუგო ბრაზილიურ „კრუსეიროს“. ანგარიში მე-2 წუთ-
ზევე გახსნა პატრისიო კამსმა, შეხვედრის დამთავრებამდე 5 წუ-
თით ადრე კი ბრაზილიელმა ფელსონ ბარესიმ საკუთარ კარში ჩა-
ჭრა ბურთი. წლებადღეს სეზონში არგენტინელებმა სამხრეთ ამერი-
კის სამივე საკლუბო თასი მოიპოვეს — „რივერპლეიტმა“ ლიბერტა-
ტორესი, „ლანსუმა“ კონმბოლი, „ველვემს“ სამხრეთ ამერიკის სუ-
პერთასი.



ველვემ სარსფილის“ მეტარე ხოსე ლუის შილავერი და
მისი თანაგუნდელები სუპერთასის მოგებას ზეიმობენ

კორაჩის თასი. მეტეკსპეტდფინალი

პირველი მატჩები. 4 დეკემბერი

სატეკი (სლოვენია) — უნიკაზა (ესპანეთი)	65:90
ბეჟიქოვა (თურქეთი) — არისი (საბერძნეთი)	64:65
სამარა (რუსეთი) — პისტოია (იტალია)	48:74
კასტორი (ბელგია) — ბეოგრადაც (იუგოსლავია)	77:69
ტელეკომპი (ხორვატია) — მესუ (თურქეთი)	70:72
ნანსი (საფრანგეთი) — ტაუერსი (ესპანეთი)	84:78
ზორკა ფარმა (იუგოსლავია) — მაზოვანკა (პოლონეთი)	81:77
კაჯევა (იტალია) — პერისტერი (საბერძნეთი)	78:72
თოფაში (თურქეთი) — კალევი (ესტონეთი)	69:63
გრანადა (ესპანეთი) — ბანკა დე რომა (იტალია)	88:70
ესკ ვეს (რუსეთი) — ბენსტონი (ხორვატია)	74:86
მაკაბი (რიზონი, ისრაელი) — სპორტივნი (საბერძნეთი)	62:61
ოვარენშე (პორტუგალია) — კასერესი (ესპანეთი)	79:73
ერენა ზეზელა (იუგოსლავია) — პაოკი (საბერძნეთი)	99:102
ზრინიევაცი (ხორვატია) — ტალი (გერმანია)	100:89
დიჟონი (საფრანგეთი) — ბენეტონი (იტალია)	62:87

ევროლიგა

IX ტური. 5 დეკემბერი

A ჯგუფი
ესკა (რუსეთი) — სტეფანელი (იტალია) 70:55, ულქერი (თურქეთი) — ლი-მოკი (საფრანგეთი) 99:91, მაკაბი (თელ-ავეი, ისრაელი) — პანონიუსი (საბერძნეთი) 69:57

B ჯგუფი
ციბონა (ხორვატია) — ოლიმპიკოსი (საბერძნეთი) 63:61, ალბა (გერმანია) — ტიმისტი (იტალია) 81:64, შარლერუა (ბელგია) — ესტუდინტესი (ესპანეთი) 75:82

C ჯგუფი
ბაიერი (გერმანია) — ბარსელონა (ესპანეთი) 71:79, კროატია (ხორვატია) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 58:65, ოლიმპიკა (სლოვენია) — ვილერბანი (საფრანგეთი) 73:60

D ჯგუფი
ეფეს პილსენი (თურქეთი) — ელან ბერნე (საფრანგეთი) 78:76, დინამო (რუსეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) 79:75, პარტიზანი (იუგოსლავია) — კინდერი (იტალია) 78:70

ევროპის თასი

IX ტური. 4 დეკემბერი

C ჯგუფი
ჰაპოელ გალილ ელიონი (ისრაელი) — შტტ (მაკედონია) 95:79

D ჯგუფი
ნიუ ვეივი (შვედეთი) — ჰაგენი (გერმანია) 70:87, ჰაპოელ იერუსალიმი (ისრაელი) — აპოელი (კვიპროსი) 90:62

H ჯგუფი
ლონდონ თაუერსი (ინგლისი) — ბუ-ლუნოსტი (იუგოსლავია) 71:58

დიდი კასპის ამბები

ოლაჯუნის

„პოლსტონ როკიტის“ ცენტრს 3 ათეულობის გული აწუხებდა. არითმია ვარსკვლავი პირველად 19 ნოემბერს შეაწუხა, მაგრამ ჰაკიმმა ამბოლატორულად წაიმკურნალა. წინა მატჩის კი ვაშინგტონში კვლავ დაერღვა გულისცემის რიტმი. ოლაჯუნის პოლსტონში დაბრუნდა და საავადმყოფოში დაწვა. კალათბურთელს ელექტრომოკის მეთოდით უმკურნალეს და მეორე დღეს სახლში გაუშვეს. ექიმებმა თქვეს, რომ ეს ავადმყოფობა არც ჰაკიმის სიცოცხლისათვის და არც კარგიერისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

ოთხშაბათს საღამოს ოლაჯუნის უკვე მოედანზე იყო და „პოსტონ სელტიქსს“ 16 ქულა ჩაუვლო. ამჟამად 3 ოუსტონელი ცენტრი ნბა-ს მესამე მომარაგება — საშუალოდ 25,8 ქულა მატჩში.

პერიუისა და ლონგლის

ოთხშაბათს „ჩიკაგო ბულზმა“ დაშვებულთა სიდან ამოწერა 43 წლის ცენტრი რობერტ პერიუ, რომელმაც წელსკი მოიწინა. პერიუმა ხუთი მატჩი გამოტოვა. იმავე დღეს „ბულზმა“

«ევროსტარის» მონაწილეები დაასახელეს

30 დეკემბერს სტამბოლში გაიმართება ევროპის ვარსკვლავთა მატჩი, რომელსაც პირობითად „ევროსტარი“ ჰქვია და ნბა-ს „ოლ სტარის“ ანალოგია. ამ მატჩის მონაწილე კალათბურთელები შერჩეულნი არიან ევროპული გუნდებიდან. ისინი გაყოფილნი არიან აღმოსავლეთის და დასავლეთის ნაწილებად. ამორჩევის პრინციპი ეფუძნება არა მოთამაშის ეროვნებას, არამედ იმას, თუ რომელ ქვეყანაში თამაშობს ამ მომენტში ესა თუ ის კალათბურთელი. უკვე დასახელდნენ „ევროსტარის“ მონაწილეები.

აღმოსავლეთი: სერგეი ბაზარევიჩი (რუსეთი, ესკა), ორპუნ ენე (თურქეთი, ულქერი), პანაიოტის ფასულასი (საბერძნეთი, ოლიმპიკოსი), ევგენი კისური (რუსეთი, ციბონა), იბრაჰიმ ქუთლუაი (თურქეთი, ფენერბაჰჩე), პეტარ ნაუმოსკი (თურქეთი, ეფეს პილსენი), დევი რივერსი (აშშ, ოლიმპიკოსი), ჯორჯ სიგალასი (საბერძნეთი, ოლიმპიკოსი), დრაგან ტარლაკი (საბერძნეთი, ოლიმპიკოსი), რენდი ვაითი (აშშ, მაკაბი თელ-ავეი), იურე ზლოცე (სლოვენია, ირაკლისი). მწვრთნელი ლუშან ივკოვიჩი (იუგოსლავია).

დასავლეთი: რონი ბაიერი (ბელგია, სუნარი), იან ბრანტო (საფრანგეთი, ლი-მოკი), რომარ ლაკური (საფრანგეთი, რესინგი), ჰენრი ჰარნიში (გერმანია, ალბა), კონრად მაკრი (აშშ, ტიმისტი), კარლტონ მაიერსი (იტალია, ტიმისტი), საშა ობრადოვიჩი (იუგოსლავია, ალბა), ფელკო რებარა (იუგოსლავია, ბენეტონი), ანტუან რიგოლო (საფრანგეთი, პო-ორტეზი), დელანი რადი (აშშ, ვილერბანი), სტეფანო რუსკონი (იტალია, ბენეტონი), ზორან სავიჩი (იუგოსლავია, კინდერი). მწვრთნელი ლოლო საინსი (ესპანეთი).


რობინსონის

„სან ანტონიო სფურზი“ კი ალბათ მალე ამოიხსნება. დღეს იგი „ვანკუვერს“ ეთამაშება და, შესაძლოა, მის რიგებში ცენტრი და ლიბერი დევიდ რობინსონი გამოჩნდეს. ნბა-ს 1995 წლის უძვირფასეს მოთამაშეს ამ სეზონში არ უთამაშია — წელის კუნთი ჰქონდა დაჭიმული. დევიდმა ორშაბათს დაიწყო ვარჯიში და განაცხადა, „ვანკუვერთან“ მატჩისთვის უკვე საბოლოოდ მზად ვიქნები.

ფორმების რეგისტრაცია

აუდიტი
ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)
(შპს, ინდივიდუალური საქარმო, სსს)
რუსთაველის 19
ტელ: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39

ფორმების რეგისტრაცია
აუდიტი
ყველაზე იაფად და სწრაფად (1 დღეში)
(შპს, ინდივიდუალური საქარმო, სსს)
რუსთაველის 19
ტელ: 93-52-34, 99-09-84;
(18 საათიდან) 73-89-39



ჯორდანი. აივარსონი. ტომიანოვიჩი ნოემბრის უპლიმარსები

„ჩიკაგო ბულზის“ უკანახელი მაიკლ ჯორდანი დაასახელეს ნოემბრის თვის ნბა-ს საუკეთესო მოთამაშედ. ამ თვეში ჯორდანმა 16 მატჩი ითამაშა, საშუალოდ აკეთებდა 31,9 ქულას, 4,9 მოხსნას, 3,4 პასს და 1,5 ჩაჭრას. ფილადელფიელი ალენ აივერსონი კი ნოემბრის საუკეთესო ახალბედად აღიარეს. ჯორჯთაუნის უნივერსიტეტიდან მოსულმა კალათბურთელმა 15 მატჩში საშუალოდ 21,8 ქულა, 6,4 პასი, 5,3 მოხსნა და 2,67 ჩაჭრა გააკეთა. „პოლსტონ როკიტის“ დამრიგებელი რუდი ტომიანოვიჩი კი თვის საუკეთესო მწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით გუნდმა ნოემბერში 15 მატჩი მოიგო და ერთი წააგო.

მუტომუო — კიპრისა

„ატლანტა ჰოქსის“ ცენტრი დიკემბე მუტომუო განხდა ნბა-ს მეოთხე კვირის (25 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე) საუკეთესო კალათბურთელი. ეს ზაირელი ცენტრი „ატლანტაში“ პირველ სეზონს ატარებს, მანამდე შეგასენებო, „დენვერ ნაგეთსში“ გამოდიოდა.

შეიზრძენით თქვენი თაპი უფროსად!
გვესაჭიროება
მალაღი ანაზღაურებით
დაინტერესებული პირები,
პირდაპირი ვაჭრობის ხფეროში
თავად დაბადვით ვაჭრობის
დონე და იმუშავეთ თქვენთვის
სასურველ დროს.
კონსულტაციები და შემოღობი სწავლება
უფასოა. გასაუბრებაზე ჩაწერა ხდება
შემდეგ ტელეფონზე: 99 08 07
9-14 სთ-მდე; 18-22 სთ-მდე

იყიდება
სუფთა სისხლის
კავკასიური
ნაგების ლეკვი
ტ. 95-32-12, 64-33-96

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

4 დეკემბერი

დეტროიტ პისტონზი — ატლანტა ჰოქსი	100:90, მაიაში ბიითი — დალას მავერიქსი	101:79, ნიუ იორკ ნიქსი — ნიუ ჯერსი ნეთსი	109:102, კლივლენდ კავალიერზი — ორლანდო მეჯიკი	84:57, იუტა ჯაზი — ლოს ანჯელეს ლეიკერზი	101:75, მიუსტონ როკიტსი — ბოსტონ სელტიქსი	94:89, სან ანტონიო სფურზი — ფილადელფია-76	113:103, ფინიქს სანზი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი	118:87, ინდიანა პეისერზი — ვანკუვერ გრიზლიზი	127:80
----------------------------------	--	--	---	---	---	---	---	--	--------

5 დეკემბერი

